საიდ. №75507/03

IR 1187228

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №39-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის “ფირმა“ დისნა“ (“FIRMA” DISNA”) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №39-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 05 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №300/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KARTUWINE” (საიდ. №75507/03 IR 1187228) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 05 იანვრის №300/03 ბრძანებაზე

თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს „KARTU WINE“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე საქართველოში, ვინაიდან ის შედგება მხოლოდ სიტყვიერი ნაწილისაგან, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის არეალზე და საქონლის სახეობაზე, კერძოდ ქართულ ღვინოზე. ნიშანს არ გააჩნია სხვა დამატებითი განმასხვავებელუნარიანი ელემენტი. გარდა ამისა, წარმოდგენილი ნიშანი შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, ვინაიდან, ნიშნის განმცხადებელი არის უკრაინული კომპანია (Tovarystvo z obmezhenoiu vidpovidalnistiu "Firma" "Disna") ხოლო თავად ნიშანი მიუთითებს ქართული წარმოშობის პროდუქციაზე. განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 33-ე კლასის შემდეგი საქონლისათვის: 33 - ალკოჰოლიანი სასმელი, ლუდის გარდა; ღვინო; ხილის შემცველი ალკოჰოლური სასმელები; პიკეტი. ვინაიდან სასაქონლო ნიშანი „KARTUWINE“ პირდაპირ მიუთითებს ღვინოზე, დანარჩენი ალკოჰოლიანი სასმელის მიმართ ის არის შეცდომაში შემყვანი. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” და „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია “ფირმა“ დისნა“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიმბოლო „KARTUWINE” ფანტაზიურია და შესრულებულია სტილიზებული ლათინური ასოებით. აპელანტის მითითებით, გამოტოვებულია საქონლის ჩამონათვალში, ის გარემოება, რომ საქონელი ქართული წარმოშობისაა. ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 05 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №300/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KARTUWINE" (საიდ. №75507/03 IR 1187228) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „KARTUWINE" (საიდ. №75507/03 IR 1187228) არ წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, რადგან სიტყვიერი აღნიშვნა „KARTUWINE" წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვას 33-ე კლასის საქონლისათვის და არ მიუთითებს საქონლის ბუნებაზე. სასაქონლო „KARTUWINE" წარმოადგენს ერთსიტყვიან ნიშანს, რომელსაც არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა და ფანტაზიურია. ამასთან, სასაქონლო ნიშნის საწყისმა ნაწილმა „KARTU"

მომხმარებელში შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის ქართულ წარმოშობაზე ასოციაცია, შესაბამისად კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი უნდა შეიზღუდოს შემდეგი სახით: „ალკოჰოლური სასმელები ლუდის გარდა, ღვინო, ხილის შემცველი ალკოჰოლური სასმელები, ყველაფერი წარმოებული საქართველოში“ (Alcoholic beverages, except beers; wine; alcoholic beverages containing fruit; piquette all produced in Georgia). საქონლის ამ პირობებში შეზღუდვის შემთხვევაში, მომხმარებელს არ შეექმნება მცდარი წარმოდგენა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KARTUWINE” (საიდ. №75507/03 IR 1187228) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის “ფირმა“ დისნა“ (“FIRMA” DISNA”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და

გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 05 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N300/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო „KARTUWINE” (საიდ. №75507/03 IR 1187228) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელები ლუდის გარდა, ღვინო, ხილის შემცველი ალკოჰოლური სასმელები, ყველაფერი წარმოებული საქართველოში“ (Alcoholic beverages, except beers; wine; alcoholic beverages containing fruit; piquette all produced in Georgia).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

ა. დალაქიშვილი